| ხელშეკრულება # 60-7-219-1967<br>ქ. თბილისი, 2019 წ. 02. 09 | Agreement # ________________<br>Tbilisi, 2019 ____________ |
|---|---|
| I.მხარეები | I. Parties |
| 1.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2019 წლის 02-09 ერთის მხრივ **სს `საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას"** (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მმართველთა საბჭოს წევრის დავით ვარდიაშვილის სახით (მინდობილობა #181378706) და მეორეს მხრივ **,,Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey"** (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ტექნიკური მენეჯერის ჰაკან სარაქის და კომერციული გაყიდვების მენეჯერის დოღან დინჯის სახით, შორის, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. | 1.1. The present agreement hereof is made on --------, 2019 by and between JSC "Georgian State Electrosystem", represented by David Vardiashvili – Member of Management Board (Apostile #181378706) (hereinafter referred to as the ,,Purchaser") on the one hand and ,,Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey" (hereinafter referred to as the ,,Supplier") represented by Hakan Sarac - Technical Manager and Dogan Dinc - Commercial Sales Manager on the other hand, acting in accordance with the applicable legislation. |
| <u>II. ხელშეკრულების საგანი</u><br>2.1,,მიმწოდებელი" ჰყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს CAPE (CAPE®PSS)-ის ერთწლიან ლიცენზიას (CPV კოდი: 48200000) შემდგომში წოდებულს "საქონლად" დანართი #1-ის (ფასების ცხრილი და ტექნიკური სპეციფიკაცია) შესაბამისად. ,,საქონელი" გულისხმობს ,,მიმწოდებლის" მიერ ,,შემსყიდველის" ელ-ფოსტაზე გადმოგზავნილ ბმულსა და გასაღების კოდს. | <u>II. Subject to the Agreement</u><br>2.1. The Supplier sells and the Purchaser buys maintenance services for CAPE (CAPE®PSS) (CPV code: 48200000) hereinafter referred to as THE GOODS in complete accordance with Appendix #1 (Price List and Technical Specification). THE GOODS are the link and key password to be given via e-mail. |
| 2.2. დანართი #1 (ფასების ცხრილი და ტექნიკური სპეციფიკაცია) წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. | 2.2. Appendix #1 (Price List and Technical Specification) is the integral part of the Agreement hereof. |
| <u>III. შესყიდვის ობიექტის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები</u><br>3.1. საქონლის საერთო ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ის (ფასების ცხრილი და ტექნიკური სპეციფიკაცია) შესაბამისად და შეადგენს 5 371 (ხუთი ათას სამას სამოცდათერთმეტი) აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება"). ხელშეკრულების ღირებულება ითვალისწინებს „მიმწოდებლის" მიერ გაწეულ ყველა ხარჯს. | <u>III. Value of the Goods and Terms and Conditions of Settlement</u><br>3.1. The total value of the Goods is defined in accordance with the Appendix #1 (Price List and Technical Specification) hereunder and amounts to 5 371 (five thousand three hundred seventyone) USD VAT Excl. (hereinafter referred to as the "Value of the Agreement"). Value of the Agreement shall include all the expenses of the Supplier. |
| 3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება აშშ დოლარში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. | 3.2. Settlement shall be carried out in USD, by means of the non-cash settlement (via bank transfer). |
| 3.3. ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის გადახდა მოხდება საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და „მიმწოდებლის" მიერ ინვოისის წარმოდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში. | 3.3. Payment of 100% of the Value of the Agreement shall carry out within 10 banking days after the date of signing delivery acceptance certificate and providing the invoice by the Supplier. |
| <u>IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები</u><br>4.1,,შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" საქონლის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. | <u>IV. Rights and Liabilities of Parties</u><br>4.1. The Purchaser undertakes the liability to pay the price of the Goods to the Supplier in line with the terms and conditions of the Agreement hereof. |

**,,Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey"**

Hakan Sarac - Technical Manager ________________

Dogan Dinc - Commercial Sales Manager ________________

**JSC ,,Georgian State Electrosystem"**

David Vardiashvili ________________

Member of Management Board

| | |
|---|---|
| 4.2.„შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს სრული ინფორმაცია საქონლის შესახებ. | 4.2. The Purchaser is entitled to demand complete information about the Goods from the Supplier. |
| **V. მიწოდების ადგილი და ვადები**<br>5.1. „მიმწოდებელმა" „შემსყიდველს" საქონელი უნდა მიაწოდოს ელექტრონულად შესაბამისი ბმულისა და გასაღების კოდის სახით შემდეგ ელ.ფოსტაზე: mikheil.sartania@gse.com.ge. | **V. Terms and place of supply**<br>5.1. The Supplier shall supply the Goods to the „Purchaser" electronically. The relevant link and key password must be sent to the following e-mail address: mikheil.sartania@gse.com.ge. |
| 5.2. ლიცენზიების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში. | 5.2. The licenses are valid for 12 (twelve) months from the date of signing the Agreement. |
| **VI. მხარეთა პასუხისმგებლობა**<br>6.1. გარდა ფორსმაჟორული მოვლენებისა და მიზეზებისა, რომელიც არ არის გამოწვეული „მიმწოდებლის" მიზეზით, რომელიც ხელს უშლის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი დათქმულ ვადაში, იგი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყოველკვირეული დაგვიანებისთვის ჯარიმა დაგვიანებული საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 5%-სა. მხარეები თანხმდებიან, რომ ჯარიმების თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს დამატებით მიღებული ზარალის ანაზღაურებისგან, ამ ხელშეკრულების და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. | **VI. Responsibilities of the Parties**<br>6.1Except for force majeure events and reasons not attributable to SIEMENS which prevent the performance of the work, if Supplier fails to deliver to the purchaser the undertaken work within the promised period, it shall pay to the Purchaser a penalty for each week of delay in an amount of 0.5% of the price of the product whose delivery is delayed. The sum of all the penalties to be imposed under this offer, including delay penalties, shall be limited to 5% (five percent) of the contract price. Parties hereby acknowledge that payment of the sum of penalties does not relieve the party from paying any additional damages incurred, based on this agreement and governing law. |
| 6.2. „შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, „მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს" პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება. | 6.2. In case of delay (delayed) of payment by the Purchaser the Supplier may request the Purchaser payment 0,1% of the unpaid amount for each day of delay till the termination date of the Agreement or fully payment day, whichever period occurs earlier. |
| 6.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას. ზარალის სრული კომპენსაცია არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების მთლიან ღირებულებას. | 6.3. In case of unilateral non-implementation of the liabilities imposed hereunder, the parties are liable to compensate the caused damage in full according to the rule set by the applicable legislation of Georgia. Compensation of the damage or its demand does not stop accrual of the penalties stipulated by the article hereof. Maximum compensation for damages should not be more than the total amount of the present agreement. |

**„Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey"**

Hakan Sarac - Technical Manager ______________

Dogan Dinc - Commercial Sales Manager ______________

**JSC „Georgian State Electrosystem"**

David Vardiashvili ______________

Member of Management Board

| | |
|---|---|
| 6.4.,,შემსყიდველი" უფლებამოსილია ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და "მიმწოდებელზე" დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა ,,მიმწოდებლისათვის" გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოქვითვა არ შეიძლება გახდეს ,,მიმწოდებლის" მხრიდან ,,შემსყიდველისათვის" 6.2 პუნქტით გათვალიწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი. | 6.4. The Purchaser is authorized to deduct (to reduce payment by) accrued penalties and fines envisaged by this article and charged to the Supplier during payment of price of actually delivery goods. This deduction cannot be mentioned as a basis of penalty from the Supplier to the Purchaser according to the paragraph 6.2. |
| **VII. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**<br>7.1.ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებსსს სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" რელეური დაცვისა და ავტომატიკის სამსახურის უფროსი - მიხეილ სართანია. | **VII. Control over Implementation of the Agreement**<br>7.1.The control over implementation of the Agreement by the Purchaser is carried out by Mikheil Sartania - Head of Relay Protection and Automatic Service. |
| 7.2.კონტროლი გულისხმობს საქონლის შედარებას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ პირობებთან. კონტროლი განხორციელდება მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მიწოდების პირობების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ბმულისა და გასაღების კოდის გადმოგზავნას ელ.ფოსტის მეშვეობით. | 7.2. The control is carried out through compliance of the quality and delivery terms of the Goods. Electronically via the link and key password sent by e-mail. |
| 7.3.„მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა. | 7.3.The Supplier shall be obliged to correct all the defects or faults revealed after such control at its own expense. |
| **VIII . შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**<br>8.1. „მიმწოდებელსა" და „შემსყიდველს" შორის საქონლის მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება სრულად მიწოდებულ საქონელზე. | **VIII. Delivery-~~Acceptance~~ Procedure of Purchase Object**<br>8.1.The delivery-acceptance certificate between the Supplier and the Purchaser shall be concluded on the fully delivered Goods. |
| 8.2. „მიმწოდებლის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს საქონლის შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე. | 8.2 The person defined by the Purchaser according to the subparagraph 7.1 hereunder shall check the compliance of the delivered Goods with the terms and conditions of this Agreement. In case of absence of defect, the delivery-acceptance certificate shall be concluded on the actually delivered Goods. |
| 8.3. საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. | 8.3. The Goods shall be considered as accepted upon signing of the delivery-acceptance certificate by and between the parties. |
| 8.4 ,,შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირად განისაზღვროს მმართველთა საბჭოს წევრი - გიორგი ამუზაშვილი. | 8.4 The person defined to sign the delivery-acceptance certificate from the ,,Purchaser" is Member of Management Board – Giorgi Amuzashvili. |

**,,Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey"**

Hakan Sarac - Technical Manager ______________

Dogan Dinc - Commercial Sales Manager ______________

**JSC ,,Georgian State Electrosystem"**

David Vardiashvili ______________

Member of Management Board

| | |
|---|---|
| **IX . ფორს-მაჟორი**<br>9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას. | **IX . Force-Majeure**<br>9.1. Suspension of the terms and conditions of the Agreement or any of them due to incurring of the force-majeure circumstances shall not be considered as non-implementation or violation of the terms and conditions of the Agreement hereof and will not cause imposing of the penalty sanctions. |
| 9.2. ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ტერორისტული აქტებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს–მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო – სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას. | 9.2. For the purposes of the article hereof, "Force-Majeure" means the circumstances insuperable for the parties and beyond their control or independent from the parties, which are not related to their errors and negligence and which bear the preliminarily unforeseen character. Such circumstances might be caused due to war or natural calamities, acts of terrorism, epidemic, quarantine, imposing of embargo, etc. For sufficient certificate confirming existence of force-majeure, the parties agree upon to consider the appropriate certificate issued by the Chamber of Commerce and Industry of the relevant country. |
| 9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.<br>რომელიმე მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ფორსმაჟორული მოვლენების გამო, არ შეიძლება იქნეს განმარტებული, როგორც ამ მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა. თუ ფორსმაჟორული მოვლენის გამო ვალდებულების შეუსრულებლობა გრძელდება ოთხმოცდაათი (90) დღის ან მეტი ხნის განმავლობაში, ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება დღის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე 10 (ათი) დღის განმავლობაში.<br>ფორსმაჟორული მოვლენით გამოწვეული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეების წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, საქონლის მიწოდების დრო შეიძლება გახანგრძლივდეს გონივრული ვადით. ეს ხელშეკრულება ასევე უნდა ასახავდეს შემსყიდველი მიერ გადახდილ გონივრულ დამატებით ხარჯებს იმ ხარჯების გამო, რაც მიმწოდებელმა გაწია ფორსმაჟორის მოვლენის გამო. თუ შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია, ეს ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება. | 9.3. In case of incurring of force-majeure circumstances, the contractual party, for which it becomes impossible to implement the undertaken liabilities, shall immediately send to the other party the written notification regarding such circumstances or their reasons. If the party sending the notification does not receive the written response from the other party, such party at its discretion, according to the appropriateness and the own capabilities continues to implement the liabilities undertaken due to<br>Failure by any of the parties to perform its obligations because of force majeure events shall not be interpreted as default by said party. If failure to perform the obligation because of a force majeure event lasts ninety (90) days or longer, any of the parties may terminate the AGREEMENT or the order upon a ten (10) days' written notice.<br>In case of a delay in the performance of the works caused by a Force Majeure event, the delivery time or Work completion time may be, upon parties written agreement, subject to extention by a reasonable period required for eliminating the consequences of such a delay. This agreement shall also reflect any reasonable additional costs payable by Purchaser due to the costs incurred by the Provider due to Force Majeure event. If the agreement can not be reached than this contract is deemed to be terminated. |

**,,Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey"**

Hakan Sarac - Technical Manager ____________

Dogan Dinc - Commercial Sales Manager ____________

**JSC ,,Georgian State Electrosystem"**

David Vardiashvili ____________

Member of Management Board

| | |
|---|---|
| **<u>X. ურთიერთობა მხარეებს შორის</u>**<br>10.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. ოპერატილი კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისთვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებილი ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით. | **<u>X. Relations between the Parties</u>**<br>10.1. Any official relations between the contractual parties shall be implemented in writing. The written notification, which the party sends to the other in accordance with the Agreement, shall be sent in form of the mail notification, which shall be signed by the person authorized for management and/or representation. With the purpose to set the immediate and efficient contact, it is possible to send the notifications via e-mail (scanned version of the letter) or fax, with the conditions to deliver the original lately. |
| 10.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება. | 10.2. The notification enters into force on the day of its receipt by the addressee or the date set for validation of the notification, whichever incurs later. |
| 10.3 მიმწოდებლის მაქსიმალური პასუხისმგებლობა შემსყიდველთან აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შემოიფარგლება ხელშეკრულების ღირებულების 100% -მდე ზიანის ანაზღაურებით. აღნიშნული შეზღუდვა ასევე ვრცელდება მიმწოდებლის თანამშრომლებზე, ქვეკონტრაქტორებზე, აგენტებზე. ნებისმიერი მესამე მხარის წინააღმდეგ პრეტენზიები ფიზიკური დაზიანების, გარდაცვალების ან ქონების დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მიმწოდეველს , რადგან მას გააჩნია იურიდიული თავდაცვის განხორციელების განსაკუთრებული უფლება. შემსყიდველს პირდაპირ ეკრძალება მესამე პირის პრეტენზიის აღიარება ან გადაწყვეტა. | 10.3 The maximum liability of SIEMENS to the GSE under or in connection with the Contract shall be limited up to the 100% of the Contract Value per damage event. This limitation of liability shall also apply for SIEMENS' employees, subcontractors, agents, licensors or any of their employees. Against any third party claims for bodily injury, death or property damage in relation with this Offer, SIEMENS shall be immediately informed and shall have the exclusive right to conduct the legal defense. CUSTOMER is expressly prohibited from acknowledging or settling the third party's claim. |
| **<u>XI. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა</u>**<br>11.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. | **<u>XI. Modification of the Terms and Conditions of the Agreement and/or early Termination</u>**<br>11.1. Any modification and/or amendment to the Agreement hereof might be carried out on the basis of the written agreement by and between the parties. |
| 11.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:<br>11.2.1. მხარეთა შეთანხმებით;<br>11.2.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული დარღვევის აღმოჩენიდან 60 (სამოცი) კალენდარულ დღეს. | 11.2.The agreement might be terminated preliminarily in the following cases:<br>11.2.1. Upon agreement of the parties;<br>11.2.2. With the statement of one of the parties in case of substantial violation of the terms and conditions of the Agreement hereof by the other party which does not remedy the violation within 60 (Sixty) calendar days after being noticed. |
| 11.3. „შემსყიდველს" შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:<br>11.3.1. „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში; | 11.3. The Purchaser may terminate the agreement preliminarily in the following cases:<br>11.3.1. In case of bankruptcy of the Supplier; |

**„Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey"**

Hakan Sarac - Technical Manager ____________

Dogan Dinc - Commercial Sales Manager ____________

**JSC „Georgian State Electrosystem"**

David Vardiashvili ____________

Member of Management Board

| | |
|---|---|
| 11.3.2. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც წარმოადგენს „შემსყიდველის“ მხრიდან „მიმწოდებლის“ მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს.<br>11.3.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. | 11.3.2. If it becomes known to the Purchaser that the information submitted by the Supplier is false which is the basis for losing of confidence of the Purchaser.<br>11.3.3. In other cases as stipulated by the applicable legislation of Georgia. |
| 11.4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა. | 11.4. Modification of the terms and conditions of the procurement agreement is inadmissible, if as the result of such modifications the total value of the Agreement increases or the terms and conditions of the Agreement for the procuring entity are deteriorated, except for the cases stipulated by the Article 398 of the Civil Code of Georgia. Besides, the total value of the Agreement shall not increase by more than 10%. |
| **XII. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**<br>12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. | **XII. Interfering to Implementation of the Agreement**<br>12.1 If during the process of implementation of the Agreement the parties face any impeding circumstances, due to which implementation of the terms and conditions of the Agreement is interfered, such party shall immediately send to the other party the written notification on fact of interfering, its possible duration and the reasons. The party receiving the notification shall communicate own decision made regarding the indicated circumstances to the other party as soon as possible. |
| 12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. | 12.2. In the event if due to interfering to implementation of the terms and conditions of the Agreement the parties agree upon to prolong the term for implementation of the terms and conditions of the agreement, such decision shall be concluded by means of introducing of the modifications into the Agreement. |
| **XIII. დავათა განხილვა**<br>13.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ. | **XIII. Settlement of Dispute**<br>13.1. The contractual parties hereby agree upon to refer to all the efforts in order to settle all the disputes and the discrepancies incurred by and between the parties regarding the Agreement or the issues related to the Agreement via amicable negotiations. |
| 13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს. | 13.2. If in the term of 30 (thirty) days after commencement of such negotiations the parties fail to agree upon the disputable issues, any party is entitled to solve the dispute by applying to the court of Georgia according to the set rule. |

**„Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey“**

Hakan Sarac - Technical Manager ____________

Dogan Dinc - Commercial Sales Manager ____________

**JSC „Georgian State Electrosystem"**

David Vardiashvili ____________

Member of Management Board

| | |
|---|---|
| **XIV. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**<br>14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს **2020 წლის 03 ოქტომბრისა.** | **XIV. Validity of the Agreement**<br>14.1. The agreement enters into force upon its signing by the parties and is valid until performance of the terms and the conditions foreseen by the Agreement, nevertheless than **October 03, 2020**. |
| **XV. დამატებითი პირობები**<br>15.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა . ხელშეკრულების ქართულ და ინგლისურ ტექსტებს შორის განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ვარინატს. | **XV. Miscellaneous**<br>15.1. The Agreement is drafted in Georgian language and English in two copies and each of them bears equal legal force. In case as discrepancy between Georgian and English wording, the text written in the English language shall prevail. |
| 15.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული მიმოწერის წარმოება განხორციელდება ინგლისურ ენაზე. | 15.2. Correspondence related to the fulfillment of Present Contract shall be carried out in English language. |
| 15.3. ისეთ შემთხვევებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით. | 15.3. In the cases not stipulated hereunder, the parties shall act in accordance with the applicable legislation of Georgia. |
| 15.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი უფლებამონაცვლეებისთვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებითგათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა მესამე მხარისთვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. | 15.4. The terms and conditions stipulated by the Agreement hereof are binding and obligatory for implementation by the parties and their legal successors and assignees. It is inadmissible to assign the liabilities foreseen by the Agreement hereof to the other party without preliminary written consent by the other party. |
| 15.5. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს კონფედენციალურ ინფორმაციას და არ უნდა მოხდეს მათი გამჟღავნება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. | 15.5. The terms and conditions stipulated by the Agreement hereof are the confidential information and shall not be disclosed to the other party, except for the cases prescribed by the legislation. |
| 15.6. წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 17/08/2015წ. #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" თანხმობის SMP190002822 (განკარგულება # 2939) შესაბამისად. | 15.6. The Contract hereof is drawn in accordance to the subparagraph (a), paragraph 3, article $10^1$ of the Law of Georgia on State Procurement, the subparagraph (a), paragraph 1, article 3 of the "The rules for defining simplified procurement criteria and conducting simplified procurement procedures" and approval SMP190002822 (Order # 2939) of the Chairman of "State Procurement Agency". |
| **XVI. მხარეთა რეკვიზიტები** | **XVI.. Legal address of the parties** |
| **„მყიდველი"** | **,,The Purchaser"** |
| **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"** | **"Georgian State Electrosystem" JSC** |
| საქართველო, თბილისი, 0105, ბარათაშვილის ქ. #2<br>საიდ.კოდი : 204995176 | 2, Baratashvili Street, 0105 Tbilisi, Georgia<br>Identification code: 204995176 |
| **Intermediary Bank** | **Intermediary Bank** |
| CITIBANK N.A. New York, USA | CITIBANK N.A. New York, USA |

**,,Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey"**

Hakan Sarac - Technical Manager ______________

Dogan Dinc - Commercial Sales Manager ______________

**JSC ,,Georgian State Electrosystem"**

David Vardiashvili ______________

Member of Management Board

| | |
|---|---|
| SWIFT: CITIUS33 | SWIFT: CITIUS33 |
| **Account With Institution** | **Account With Institution** |
| სს „თი ბი სი ბანკი", SWIFT : TBCBGE22 | TBC BANK , SWIFT: TBCBGE22 |
| **Beneficiary:** | **Beneficiary:** |
| GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM JSC | GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM JSC |
| IBAN: GE02TB0600000102467636 | IBAN: GE02TB0600000102467636 |
| Bank tel: +(995 32) 227 27 27 | Bank tel: +(995 32) 227 27 27 |
| Bank fax: +(995 32) 227 27 27 | Bank fax: +(995 32) 227 27 27 |
| **„მიმწოდებელი"** | **„THE SUPPLIER"** |
| **„Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey"** | **„Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey"** |
| Esentepe Neighborhood Yakacık Street No:111 Kartal/Turkey<br>Identification code: 700037454 | Esentepe Neighborhood Yakacık Street No:111 Kartal/Turkey<br>Identification code: 700037454 |
| **Bank Details** | **Bank Details** |
| BANK :T.GARANTİ BBVA BANKASI A.Ş.<br>BRANCH : Kozyatağı Corporate<br>SWIFT: TGBATRISXXX<br>CURRENCY: USD<br>ACCOUNT NO: 9097924<br>IBAN: TR79 0006 2000 3830 0009 0979 24<br>Bank tel: +(90 216) 687 27 00 | BANK :T.GARANTİ BBVA BANKASI A.Ş.<br>BRANCH : Kozyatağı Corporate<br>SWIFT: TGBATRISXXX<br>CURRENCY: USD<br>ACCOUNT NO: 9097924<br>IBAN: TR79 0006 2000 3830 0009 0979 24<br>Bank tel: +(90 216) 687 27 00 |

**„Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey"**

Hakan Sarac - Technical Manager ____________

Dogan Dinc - Commercial Sales Manager ____________

JSC „Georgian State Electrosystem"

David Vardosanidze ____________

Member of Management Board

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.09.02 17:39:38 +04'00'

დანართი #1

Annex No.1

## ფასების ცხრილი და ტექნიკური სპეციფიკაცია
## Price List and technical Specification

| # | დასახელება. Description | ღირებულება (აშშ დოლარი). Price (USD) |
|---|---|---|
| 1 | PSS®CAPE Pro-Standard - 1 license | 5.371,-USD |
| 2 | Short Circuit Reduction - 1 license | |
| 3 | IPS-PSS®CAPE Bridge - 1 license | |
| | მთლიანი ღირებულება დღგ-ს გარეშე<br>Total Price VAT Excl. | 5 371 აშშ დოლარი/USD |

„Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey“

Hakan Sarac - Technical Manager ____________

Dogan Dinc - Commercial Sales Manager ____________

JSC „Georgian State Electrosystem"

David Vardiashvili ____________

Member of Management Board

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.09.02 17:39:22 +04'00'

**ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ CAPE (CAPE®PSS)-ის ერთწლიანი ლიცენზიის შესყიდვაში, არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები) განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში - ,,Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey“-სთან.

**შეთანხმებულია:**

დავით ვარდიაშვილი ________________
მმართველთა საბჭოს წევრი

მამუკა სხილაძე ________________
მმართველთა საბჭოს წევრი

ზვიად იმნაიშვილი ________________
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

ნინო მაისურაძე ________________
მთ. ბუღალტერი

ნატო შენგელია ________________
ბიუჯეტირების და ანგარიშგების
სამსახურის უფროსი სპეციალისტი

CAP 3.5.1.01

მიხეილ სართანია________________
რელეური დაცვისა და ავტომატიკის სამსახურის უფროსი -

მურთაზ სიჭინავა ________________
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

ლაშა შენგელია ________________
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

მანანა ამაღლობელი ________________
შესყიდვების სამსახურის უფროსი

შემსრულებელი:
სოფიო ბასილაძე
შესყიდვების სამსახურის უფროსი სპეციალისტი

„Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey“

Gozde Adalet Topuz- Technical Sales Manager________________

Dogan Dinc - Commercial Sales Manager ________________

JSC „Georgian State Electrosystem“

David Vardiashvili ________________

Member of Management Board

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.09.02 17:38:58 +04'00'